ჩემპიონი ვერ ჩემპიონობს

კიევი. ცენტრალური სტადიონი, 15 ივლისი. 24 გრადუსი. მოღრუბლულობა. 60 000 მაყურებელი.

“დინამო” (კიევი) - “დინამო” (თბილისი) 2:1 (0:0)

გოლები: ბაზილევიჩი (67) – 1:0, მაისურაძე – 1:1, ბაზილევიჩი – 2:1.

კიევი: ბანიკოვი, ლევჩენკო, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, ბაზილევიჩი, ვერიგინი (დროვეცკი - 87), მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია (მაისურაძე - 75), იამანიძე, მესხი.

მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა); გვერდითი მსაჯები ა. მარტინოვი (მოსკოვი) და ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები - 1:0 კიევის “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა პუზაჩმა.

ჩემპიონი თასის მფლობელის წინააღმდეგ! რა უნდა იყოს ფეხბურთის მოყვარულისათვის ამაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი?! ამიტომ იყო, რომ 15 ივლისის თამაშმა კიეველ გულშემატკივართა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ისინი მოელოდნენ სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონის ხილვას, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, ჩემპიონი მათ ვერ ნახეს. ნუ ეწყინებათ უკრაინის ფეხბურთის მოყვარულთა ქართველ კოლეგებს ჩვენი გულახდილობა: თბილისის “დინამო” არ ჰგავდა არც უმაღლესი ტიტულის მფლობელ გუნდს და არც, საერთოდ, იმ კოლექტივს, რომლის გამოსვლებითაც ჩვენ ადრე მრავალჯერ დავმტკბარვართ კიევის სტადიონზე.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისელთა განთქმული თავდასხმა ამ დღეს ყველაფერს ჰგავდა, გარდა თავდასხმისა. ცენტრალურ ფორვარდებად თბილისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ ბარქაია და იამანიძე. შეიძლება, ეს უკანასკნელი, ასე თუ ისე, ცდილობდა შეექმნა თამაში, მაგრამ ბარქაიამ თითქმის უსაქმოდ გაატარა დრო მინდორზე და არავითარი სარგებელი თავისი გუნდისთვის არ მოუტანია. ასევე უმოქმედოდ იმყოფებოდა მარცხენა ფრთაზე მესხი, რომლის ნეიტრალიზებისთვის კიევის დინამოელები საგანგებოდ ემზადებოდნენ. მასპინძელთა დაცვა სავსებით მოსვენებული იყო მესხის მხრივ.

ვერაფერ საქებარს ვიტყვით თბილისელთა დაცვაზეც, ხოლო მეკარე კოტრიკაძემ გაუშვა 2 ბურთი, რომლებიც ოდნავადაც არ მიეკუთვნებიან აუღებელთა კატეგორიას. ვერაფერი გააწყო ბ. სიჭინავამ მოპირდაპირე ფორვარდის - ხმელნიცკის წინააღმდეგ. კიეველი თავდამსხმელი აკეთებდა ყველაფერს, რაც მას სურდა და გამუდმებით ქმნიდა სახიფათო მომენტებს ჩემპიონის კართან. შეიძლება ეს კრიტიკული შენიშვნები მთლიანად არ შედიოდეს ჩვენს კომპეტენციაში, ვინაიდან “ლელოს” კოლეგებმა გვთხოვეს მხოლოდ ამ ერთი მატჩის რეცენზირება, მაგრამ ზემოთქმულის უფლებას ჩვენს თავს ვაძლევთ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ პატივს ვცემთ ქართველ ფეხბურთელებს და გვინდა ეს გუნდი მომავალში არ

გამოიყურებოდეს ისე უსუსურად, როგორც განვლილ ხუთშაბათს კიევის სტადიონზე.

თბილისელთა კარში გატანილი ორივე ბურთის ავტორი გახლდათ ბაზილევიჩი, რომელმაც ორივეჯერ გამოიყენა კოტრიკაძის შეცდომები. რაც შეეხება ერთადერთ საპასუხო ბურთს, იგი გაიტანა მაისურაძემ.

ო. ბუჩმა.

“ლელო”, 17 ივლისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 16.07.65.